



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 6 20 0000599358



14/07/2020

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ქართულ ენაში მომზადების  
საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3<sup>2</sup> პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

## 2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 13 დეკემბერს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №01-18/462 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის № 1719230) სააკრედიტაციო განაცხადი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე.

2.2 ცენტრის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის №162530 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 აპრილის №341896 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 5 ივნისს წარმოდგენილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

--	--	--	--	--

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 29 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება. კერძოდ, მე-2 და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

### 3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3<sup>1</sup> პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად თორმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

#### გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას ორი წლით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 13 ივლისის MES 7 20 0000596802 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ა) პროგრამა ნაწილობრივ ეყრდნობა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ რეკომენდაციათა ჩარჩოს სტანდარტსა და ძირითად კრიტერიუმებს. მან მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს საერთოევროპული სტანდარტი, რომ კურსის დასრულების დროისთვის სტუდენტი პასუხობდეს B დონის მოთხოვნებს;

ბ) რეკომენდირებულია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება და სილაბუსის მიზნის შესაბამისი ლიტერატურის მითითება;

გ) რეკომენდირებულია ორთოეპიის კურსის შინაარსის გადამუშავება;

დ) რეკომენდირებულია საჭირო ბიბლიოთეკის გამდიდრება ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ახალი ლიტერატურით და მათი ასახვა სილაბუსებში, ასევე სილაბუსებში დასახელებული ყველა ლიტერატურის ბიბლიოთეკის კატალოგში არსებობა;

ე) რეკომენდირებულია მიეთითოს ამა თუ იმ კურსის მისაღწევი მიზანი ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს რომელ დონეს შეესაბამება. ამ თვალსაზრისით საჭიროა სილაბუსების განახლება;

ვ) პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების რუკა ძალიან ფორმალურია. საჭიროა იგი შეივსოს უფრო კონკრეტული ინფორმაციით;

ზ) პროგრამის შექმნაში მონაწილეობდეს ყველა პედაგოგი და მთელი დატვირთვა არ მოდიოდეს პროგრამის ხელმძღვანელზე, რომელიც სხვა პედაგოგთა მსგავსად მოწვეულია;

თ) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის მიზნების გაზომვის მექანიზმის გადახედვა და სწავლის მიზნებისა და შეფასების სისტემის შესაბამისობის გადასინჯვა;

ი) პროგრამის მდგრადობისთვის რეკომენდირებულია პროგრამაში გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და პროგრამას ხელმძღვანელობდეს კონკურსის წესით არჩეული პროფესორი.

## **რჩევები:**

ა) სასურველია წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებებს სხვადასხვა ლექტორები უძღვებოდნენ;

ბ) სასურველია, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეებს პროგრამის ფარგლებში განუვითარდეთ ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია, ფუნქციური წერა და სხვ;

გ) პროგრამას თან ახლავს კომპეტენციების რუკა, სადაც სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან გადაკვეთა მონიშნულია ყველა იმ შემთხვევაში, თუ კურსის მიზნები პირდაპირ ან გამჭოლად ითვალისწინებს აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციების განვითარებას. სასურველია, სასწავლო კურსების გადაკვეთაზე მონიშნული იყოს მხოლოდ ის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა, შეჯამება და შეფასება ხდება მითითებულ სასწავლო კურსში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ სწავლის შედეგების მიღწევა გამჭოლად გასდევდეს სხვა წინმსწრებ ან პარალელურად მიმდინარე კურსებს;


დ) სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს „ქართულ ენაში მომზადების“ დარგობრივ მახასიათებელთან.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 13 ივლისს.


6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის მდივანი  
თიკანაშვილი ნიკა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი <sup>2</sup>	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 8 აპრილის, N73 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება <sup>3</sup>	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური <sup>4</sup>	
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე <sup>5</sup>	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით <sup>6</sup>	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	კვალიფიკაციის კოდი <sup>7</sup>	
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი <sup>8</sup>	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ა. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველა 19/32.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 13 ივლისი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა <sup>9</sup>	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 13 ივლისი

<sup>1</sup> დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

<sup>2</sup> ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

<sup>3</sup> საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

<sup>4</sup> ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

<sup>5</sup> ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>6</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>7</sup> სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

<sup>8</sup> ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

<sup>9</sup> საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის

შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში